

ვაზი, ღვინო და მარან-საწნახლები-კულტურული მემკვიდრეობის საგანძური (აჭარის მაგალითზე)

კახიძე ნოდარ
მალაყმაძე როინ
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი და უცხოელი(დასავლეთ ევროპელი) სპეციალისტი მკვლევარების მიერ საქართველო იმ არეალშია მოქცეული, სადაც თავდაპირველად ჩაისახა და განვითარდა მევენახეობა. საქართველოა მიჩნეული მცირე აზიასთან ერთად ვაზისა და ღვინის სამშობლოდ. ამაზე მიუთითებს საქართველოს ტერიტორიაზე ველური ვაზის მრავლად არსებობა, კულტურული ვაზის ჯიშების სიმრავლე, თქმულება-გადმოცემები, ძველბერძნული წერილობითი წყაროები, ვაზის მოშენების, ღვინის დაყენებისა და მოხმარების ტრადიციები, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები(ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლები), მიწაში ჩამარხული სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის ჭურები, სხვა იარაღ-ინვენტარი). ქართული წარმოშობისაა ტერმინი ღვინო, რომელიც აქედან გავრცელდა და დამკვიდრდა ინდოევროპულ და სემიტურ ენებში სახემეცვლილი, მაგრამ ფუძე უცვლელი ფორმით.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკურ ლოკალურ კუთხედ მიიჩნევა აჭარა, რომელიც სამცხე-ჯავახეთთან ერთად ექცევა იმ კულტურულ-ისტორიულ არეალში, სადაც ველური ვაზის კვალი შორეულ გეოლოგიურ ეპოქაშია საძიებელი. მხედველობაშია გოდერძის უღელტეხილის (2020 მეტრი ზღვის დონიდან) მახლობლად ზემო აჭარის ახლო მოსაზღვრე სოფელ ძინძეს ნასოფლარზე ნაპოვნი გაქვავებული გიგანტური გარეული ვაზის ღეროს ნაშთი, რომლის ასაკი მილიონობითწლებს ითვლის (მ.ძველია. ბ. კვიციანი. აჭარის გეოლოგიური ისტორია, თბილისი, 1987, გვ. 69-70). სპეციალისტთა აზრით, სადაც ხარობდა ველური ვაზი იქ უნდა ჩაყროდა საფუძველი კულტურულ მევენახეობას. ეს დასკვნა პრიორიტეტულ მდგობარეობაში აყენებს აჭარასა და სამცხე-ჯავახეთს. ამიტომ ვამბობთ, რომ საქართველოს ეს კუთხეები მევენახეობა-მეღვინეობის წარმოშობა-განვითარების ერთერთ ადრინდელ ლოკალურ კერებად უნდა ჩაითვალოს.

აჭარაში მევენახეობის უძველეს ტრადიციებზე მიუთითებს ამპელოგრაფიული მონაცემები-ვაზის ადგილობრივი ჯიშების სიმრავლე, რომელიც მაღლარი ვენახითაა წარმოდგენილი(მ. რამიშვილი. გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი, 1968, გვ.2).

წარსულში აჭარაში მაღლარი ვაზი დიდი რაოდენობით იყო გაშენებული ეკლესია-მონასტრების, ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენ მარან-საწნახლების ტერიტორიაზე, რაც კარგად ჩანს

მაჭახლის ხეობის მაგალითზე(ნ. კახიძე. მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში. -აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები. თბილისი, 1971, გვ. 10). მსგავსი სურათი იყო შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში, მთელ სამხრეთ-დასვლეთ საქართველოში(გ. ნათაძე. შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიკური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9-10 საუკუნეებში. -ჟურნალი „მნათობი“, თბილისი, 1929, #2-3, გვ. 210). მალღარი ვაზის ამ ჯიშების არსებობას ველურ ვაზთან გენეტიკურ კავშირში განიხილავენ.

დღეისათვის აჭარაში შავი, წითელი და თეთრი საჭმელი და საღვინე ყურძნის 50-ზე მეტი ადგილობრივი და შემოტანილი ყურძნის ჯიში აღირიცხება. ამათგან მალღარის უძველეს ჯიშებს მიეკუთვნება:კოლომა, ჩხავერი, ხარისთვალა, ცხენისძუძუ, კლარჯული, ორჯოხული, ათური, ლივანური, ქვაბტური, ხათუნაპარმადი (ქალბატონისთითი), დუდღი, ბოსტნური, მეკრენჩხი, თავკვერი, პოვნილი,საწური,იზაბელა და სხვა(ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 46; კ. ბერიძე. მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში. ბათუმი, 1978, გვ. 25). ვაზის ადგილობრივი ჯიშების სიმრავლეს აქაურ პირობებში მევენახეობა-მეღვინეობის დარგების უძველესი დროიდან არსებობის მანიშნებლად მიიჩნევენ (ვ. ქანთარია. მ. რამიშვილი. მევენახეობა. თბილისი, 1951, გვ. 34).

აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის წარმოშობისა და განვითარების სიძველის მაჩვენებელია დარგთან დაკავშირებული ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლეები,მთავარი საღვინე ჭურჭელი-თიხის სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ქვევრები(მათ შორის ბევრი მიწაშია ჩამარხული), სხვა იარაღ-ინვენტარი. მარან საწნახლეების ნაწილი ეკლესია-მონასტრების ახლომახლო აღირიცხება.

არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემებით აჭარა დასახლებული მარან-საწნახლეებითაც გამოირჩეოდა. მათ შორის ყველაზე ადრეულია ზენითის (ქობულეთის რაიონი) ქვაში ნაკვეთი საწნახელი. ზოგიერთი მკვლევარი ამ საწნახელს ანტიკური ხანით, ზოგიც ელინისტური ხანით ათარიღებს(დ.ხახუტაიშვილი.ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. -სამტომეული, ტომი მეორე, ბათუმი, 2009, გვ. 153). ძველი საწნახლების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ძენწმანის, ორცვის (ქედის რაიონი), ყოროლისთავის(ხელვაჩაურის რაიონი) საწნახლეები, რომლებიც მონოლითურ ქვაშია ამოკვეთილი.

ქვითკირით ნაშენი დახურული და ღია ტიპის მარან-საწნახლეებითგანსაკუთრებით გამოირჩევა მაჭახლის ხეობის სოფელი ზედა ჩხუტუნეთი, სადაც ექვსი ქვითკირითნაშენი და ერთი მარანია შემორჩენილი(ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 45). დახურული ტიპის მარანებია შემონახული ხეობის სხვა სოფლებშიც (ცხემლარა, ჩიქუნეთი).

მიწაში ჩამარხული ქვევრები კი აჭარის ბევრ სოფელშია ნაპოვნი. ჩხუტუნეთის ციხის ტერიტორიაზე ჩამარხულ ქვევრში ყურძნის წიპწებიც აღმოჩნდა, რომელთაშეასწავლა საინტერესო სურათს მოგვცემდა ყურძნის სახეობის გასარკვევად.

აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI საუკუნის 60-ინაი წლებიდან 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომამდე), როდესაც იკრძალებოდა ღვინის დაყენება და მოხმარება, მევენახეობა-მეღვინეობა, როგორც მეურნეობის ერთერთი მთავარი დაწინაურებული დარგი მოიშალა და გაჩანაგდა. დადუმდა მარან-საწნახლები, რომელთა ნაწილი მოუვლელობის გამო დაზიანდა და მან დაკარგა ფუნქცია. სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო არც ოსმალთა ბატონობის შემდეგ არ მიეცემა ყურადღება აჭარაში ღვინის დაყენებასა და მოხმარების ტრადიციას. ეს ტრადიცია კი მხოლოდ 1930-იანი წლებიდან აღდგა, როდესაც მაღლარი ვაზის გვერდით დაბლარიც გაშენდა. თუმცა, ტრადიციული მარან-საწნახლები მაინც მივიწყებული დარჩა ღვინის დაყენების ახალი ტექნოლოგიების შემოღების შედეგად. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა ერთგვარ მოკრძალებას იჩენდა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მამაკაპური მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი. ამის შედეგია, რომ აჭარაში დღემდე შემორჩა ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლები.

დახასიათებული მონაცემები, პირველ რიგში მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები საუკუნეთა მანძილზე წინაპართა მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის საგანძურია, რომელსაც სჭირდება არამარტო სრულყოფილი მეცნიერული შესწავლა, არამედ დაცვა, მოვლაპატრონობა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია. ამგვარი დამოკიდებულება მატერიალური კულტურის აღნიშნული ძეგლებისადმი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც ფართო სარბიელი მიეცა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებააჭარაში ყოველწლიურად ასიათასობით ტურისტი ჩამოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც დიდ დაინტერესებას იჩენენ რეგიონის წარსული და თანამედროვე ცხოვრების, პირველ რიგში ჩამოთვლილი ძეგლების, გაცნობისათვის.

ამ მიზნით განზრახულია ღია ბარათებისა და ბულკეტების მომზადება, რომლებშიც აისახება მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები, მასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები.

Vine, Wine and Wine-Cellars-Winepresses as the Treasury of Cultural Heritage (On the Example of Adjara)

Kakhidze Nodar

Malakmadze Roin

Shota Rustaveli State University

By the Georgian and foreign (Western European) scholars Georgia is included into the area where vine-growing originated and developed. Together with Asia Minor Georgia is regarded as the home of vine and wine. This fact is pointed out by the existence of wild vine on the territory of Georgia, great number of cultural vine species, oral tradition and legends, ancient Greek written sources, traditions of vine cultivation, wine-making and consumption, monuments of material culture connected with viticulture and wine-making (stone-cut and lime-made wine cellars and winepresses, buried pitchers of various sizes and shapes as well as other tools and implements). The term *wine* is of Georgian origin that was spread from here and established in Indo-European and Semitic languages in altered but root-unchanged form.

Adjara is considered as the classical local part of Georgian viticulture-winemaking. Together with Samtskhe-Javakheti it is comprised within the cultural-historical area where the signs of wild vine species can be traced as far as the distant geological age. We mean here the remains of the fissile gigantic wild vine branch found on the site of an ancient settlement near the adjacent village of Dzindze in Upper Adjara in the vicinities of the Goderdzi Pass (2020 m above the sea level). The age of the branch counts millions of years (M. Dzvelaia, B. Kvirkvelia. Geological History of Adjara, Tbilisi, 1987, pp. 69-70). According to the specialists the cultural viticulture should have been originated in the place where wild vine was growing. Such a conclusion places Adjara and Samtskhe-Javakheti in a preferable position. Hence, we say that these parts of Georgia should be considered as one of the ancient local centers of the origin and development of viticulture and winemaking.

Amphelographic data also point to the ancient viticulture traditions in Adjara – great number of local vine species that are represented by high vine (M. Ramishvili, Vine Species in Guriua, Samegrelo and Adjara. Tbilisi, 1968, p.2).

In the past the high vine was cultivated in Adjara in great numbers on the territories of monasteries, stone-cut and lime-built cellars and winepresses that is well seen on the example of Macjhakheli Gorge (N. Kakhidze. Vine and Fruit Growing in Machakheli Gorge. – Issues of Economic Life of the Adjara Population. Tbilisi. 1971, p.10). Similar picture was in the ecclesiastical-monastic centers of Shavshet-Klarjeti and the whole South-Western Georgia (G. Natadze. Economic State of Shavshet-Klarjeti and Class Relations in 9th-10th Centuries. – journal “Mnatobi”, Tbilisi, 1929, #2-3, p.210). The existence of these species of high vine is discussed within the genetic connection with the wild vine.

Today there are registered over 50 species of local and introduced black, red and white eating and wine grapes in Adjara. Among them the following belongs to the ancient species of high vine: Kolosha, Chkhaveri, Kharistvala, Tskhenisdzudzu, Klarjuli, Orjokhuli, Khopaturi, Livanuri, Kvabturi, Khatunaparmaghi (Lady's finger), Dudghi, Bostnuri, Mekrenchkhi, Tavkveri, Povnili, Satsuri, Izabela, etc. (N. Kakhidze. Machakheli Gorge. Batumi, 1974, p.46; K. Beridze. Viticulture and Perspectives of Development in Adjara. Batumi, 1978, p.25). The great number of local vine species in the local conditions are considered as the indicators of the existence of wine and vine growing from the ancient times (V. Kantaria, M. Ramishvili. Vine Growing. Tbilisi, 1951, p.34).

Stone-cut and lime-built cellars and winepresses, the main wine vessels – clay pitchers of various shapes and capacity (majority of which are buried in the ground) and other materials also indicate to the ancient date of the origin and development of viticulture and wine-making in Adjara. Part of the wine cellars and winepresses are registered in the vicinities of churches and monasteries.

According to the archaeological and ethnological data Adjara used to be distinguished with the above mentioned wine cellars and presses. The earliest among them is the stone-cut winepress in Zeniti (Kobuleti region). Some scholars date the winepress to the Antique period, others – to the Hellenistic age (D. Khakhutaishvili. New Materials for the History of Town Economy of the Hellenistic Kartli.- 3 volumes, vol.2, Batumi, 2009, p.153). To the group of ancient winepresses should also belong the ones carved in monolithic stone in Dzentsmani, Ortsvi (Keda region), Korolistavi (Khelvachauri region).

The village of Zeda Chkhutuneti in the Machakheli Gorge is particularly distinguished with open and close type of cellars and winepresses built in lime – it preserves 6 such winepresses and one wine cellar (N. Kakhidze. Machakheli Gorge. Batumi, 1974, p.45). The closed type wine cellars are also preserved in other villages of the Gorge (Tskhemlara, Chikuneti).

Buried pitchers are found in many villages of Adjara. In the buried pitcher found in Chkhutuneti fortress territory there were discovered grape remains as well. Their study might give us an interesting picture for the determination of the grape species.

During the Ottoman reign in Adjara (from 1560s to the 1878 Russian-Turkish War) when wine making and consumption was banned, viticulture and wine making as one of the main and promoted types of economy were destroyed and ravaged. Wine cellars and presses were silenced and the majority of them were damaged thus losing their functions. Unfortunately, owing to some reasons no attention was paid to the tradition of wine making in Adjara after the Ottoman rule either. The tradition was restored only from 19930s when next to the high vine the low vine was also grown and cultivated. However, the traditional cellars and winepresses were still given to oblivion due to the introduction of modern technologies of wine making. In spite of this the local population used to express humble attitude towards the ancient monuments of material culture connected to the viticulture of their ancestors. As a result, many of the stone-cut and lime-built cellars and winepresses have been preserved in Adjara.

The above described data, and first and foremost the monuments of material culture connected with viticulture and wine growing represent the treasury of the cultural heritage created by our ancestors through centuries. They need not only a thorough study but protection, caring, preservation and popularization. Such attitude towards the monuments of material culture is urgent and topical now that the development of tourism infrastructure has such a remarkable scope. Hundreds of thousands tourists arrive in Adjara annually from different countries of the world who get interested in the past and modern life of the region, and, first of all, in the above enumerated cultural sites.

With this purpose we intend to publish cards and booklets depicting traditions of vine growing and wine making as well as the relevant monuments and sites of material culture.